



საქართველოს გაერთიანებული სახელმწიფოს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-240

12/03/2020

ქ. თბილისი

ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისის“ მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „აისის“ მიერ წარმოდგენილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე განთავსება.

2019 წლის 7 მარტს შპს „აისის“ მიერ სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სამინისტროში წარმოდგენილი იყო ახალქალაქის მუნიციპალიტეტში, შპს „აისის“ მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის სკოპინგის ანგარიში, რაზეც სამინისტროს მიერ სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი და გზშ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები (ბრძანება N2-446; 23.05.2019).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი გზშ-ის ანგარიშით დგინდება, რომ „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება დაგეგმილია ახალქალაქის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე. პროექტი ითვალისწინებს ორი დამოუკიდებელი არარეგულირებადი, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესის, ძალური კვანძის, ერთი საერთო 35 კვ. ძაბვის ქვესადგურის და საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას, კერძოდ:

ახალქალაქი 1 ჰესის (7,5 მგვტ) სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია მდ. ფარავანზე, სოფ დილისკას ჩრდილო-აღმოსავლეთით ზღვის დონიდან 1616 მ. ნიშნულზე (X-372162;

Y-4587550), ხოლო ეკოლოგიური ხარჯი განისაზღვრა 1,3 მ³/წმ-ში ოდენობით. სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის განთავსებისთვის შერჩეული იქნა მდ. ფარავნის მარცხენა სანაპირო. ძალური კვანძის მოწყობა დაგეგმილია მდ. კორხის შესართავის სიახლოვეს (X-371903; Y-4590673).

ახალქალაქი 2 ჰესის (1,6 მგვტ) სათავე ნაგებობის მოწყობა დაგეგმილია, სოფ. ორჯას სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. კორხზე, ზღვის დონიდან 1627,5 მ ნიშნულზე (X- 372353; Y- 4592330), ხოლო ეკოლოგიურ ხარჯი განისაზღვრა 0,3 მ³/წმ-ში. სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის განთავსება დაგეგმილია მდ. კორხის მარჯვენა სანაპიროზე (მდ. კორხის შესართავთან, საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარედ X-371792; Y-4590818). საპროექტო ჰესების ტერიტორიები მთლიანად სახელმწიფო საკუთრებაშია, გარდა ერთი ნაკვეთისა, რომელიც რეგისტრირებულია კერძო პირზე და მდებარეობს ახალქალაქი 1 ჰესის სადაწნეო მილსადენის დერეფანში. აღნიშნული მიწის ნაკვეთის შესყიდვა მოხდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, ახალქალაქი 1 ჰესის სათავე ნაგებობაზე იგეგმება ბეტონის დაბალზღურბლიანი კაშხლის მოწყობა (5,4 მ სიმაღლისა და 30 მ სიგრძის), რომელიც მდებარეობს მდინარის ვიწრო ხეობაში და აღჭურვილი იქნება რეგულირებადი წყალსაგდებით. წყალმიმღების შეგუბების ფართობი, წყლის ნორმალური საოპერაციო დონის პირობებში იქნება 36 000 მ². სათავე ნაგებობა ასევე მოიცავს გამრეცხ რაბს, თევზსავალს და წყალმიმღებ ნაგებობას.

პროექტით გათვალისწინებულია 6 მეტრის სიგანის სამი წყალსაგდების საკეტის მოწყობა. ღიობები, სადაც მოეწყობა აღნიშნული საკეტები, ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება 1,5 მ სიგანის შუალედური საყრდენი კედლებით. წყალსაგდების საკეტები აღჭურვილი იქნება გადადინების პროფილით, შესაბამისად, მდინარის ხარჯის უეცარი მატების შემთხვევაში, ჭარბი წყალი ავტომატურად გადავა წყალსაგდების საკეტებზე.

წყალმიმღების და თევზსავალის მოწყობა დაგეგმილია მდინარის მარცხენა სანაპიროზე. საფეხურებიანი თევზსავალი მოეწყობა წყალსაგდებსა და წყალმიმღებს შორის, რომელიც დაპროექტდა მდ. ფარავანის 0.14 მ³/წმ ხარჯის გასატარებლად, ხოლო ეკოლოგიური ხარჯის დანარჩენი ნაწილი 1.16 მ³/წმ გატარებული იქნება კაშხალზე არსებული მილის საშუალებით. დამბის სიმაღლის გათვალისწინებით თევზსავალის სრული სიგრძე იქნება 28 მეტრი, ხოლო საფეხურების რაოდენობა - 20 ერთეული. პროექტით გათვალისწინებულია ორი წყალმიმღები ხვრეტის მოწყობა, თითოეული 5 მ-ის სიგანის და 2 მ-ის სიმაღლის, სადაც განთავსდება უხეში ნაგავდამჭერი გისოსები. აღნიშნული მონაკვეთის ბოლოში გათვალისწინებულია 1,2 მეტრის სიმაღლის ზღურბლის და გამრეცხი რაბის მოწყობა, რომლის შემდეგაც წყალი გაივლის უხეშ ნაგავდამჭერ გისოსს და მოხვდება სადაწნეო მილსადენში.

სათავე ნაგებობიდან, ჰესის შენობაში, წყლის მიწოდება განხორციელდება 3,4 კმ. სიგრძის მიწისქვეშა სადაწნეო მილსადენის გავლით, რომლის დიამეტრი იქნება 2,8 მეტრი. მილსადენის ზედა მონაკვეთი მდებარეობს შედარებით ბრტყელი ზედაპირის მქონე რელიეფზე, თუმცა ზოგ ადგილებში გაივლის საკმაოდ ვიწრო ტერასაზე, მდინარის სანაპიროსთან ახლოს. მილსადენის ბოლო დაახლოებით 1,2 კილომეტრიანი მონაკვეთი ხასიათდება ციცაბო ფერდობით, რომელიც აგებულია კოლუვიური დანალექი ქანებით, ქვიშასთან და ქვიშიან ლამთან შერეული ლოდნარის და რიყნარის ჩანართებით. წყალმიმღების ქვედა ბიეფში სადაწნეო მილსადენი განთავსდება მდ. ფარავნის წყლის

დონის ქვემოთ, სადაც გათვალისწინებულია უხვწყლიანობის დროს ან მილის დაცლის შემთხვევაში მისი ზედაპირზე ამოტივტივების პრევენციული ზომები, კერძოდ მილსადენის ტრასაზე მოეწყობა რკინაბეტონის ანკერული საყრდენები, რომლებიც დაპროექტდა მილში თითოეულ ანკერულ საყრდენთან წყლის წნევის, სიჩქარის და მოხვევის კუთხის (ჰორიზონტალური და ვერტიკალური) გათვალისწინებით. სადაწნეო მილსადენის თხრილსა და მდინარის შორის იგეგმება მეორადი გზის მოწყობა სამშენებლო მასალების ტრანსპორტირებისთვის.

პროექტის მიხედვით ახალქალაქი 1 ჰესის მიწისზედა სააგრეგატო შენობა განთავსდება მდ. ფარავანის მარცხენა სანაპიროზე, მდ. კორხისა და მდ. ფარავანის შესართავთან ახლოს, რომლის სიგრძე იქნება 52 მეტრი, სიგანე - 12 მეტრი და სიმაღლე 14 მეტრი. ჰესის შენობაში დაგეგმილია ფრენსისის ტიპის სამი ტურბინის დამონტაჟება.

ახალქალაქი 2 ჰესის სათავე ნაგებობა მდებარეობს მდ. კორხის კალაპოტის ზღვის დონიდან დაახლოებით 1627,2 მ-ის ნიშნულზე, რომლის სიმაღლე მდინარის კალაპოტიდან იქნება 3 მეტრი. სათავე ნაგებობების ძირითადი კომპონენტებია ბეტონის წყალსაგდები, გამრეცხი რაბი, ტიროლის ტიპის წყალმიმღები და შემოვლითი არხის ტიპის თევზსავალი, რომელიც მოეწყობა მდინარის მარცხენა სანაპიროზე.

ბეტონის წყალსაგდები მოეწყობა მდინარის მარცხენა სანაპიროს სიახლოვეს, სადაც გათვალისწინებულია გამრეცხი რაბის მოწყობა. გამრეცხი რაბი სათავე ნაგებობისგან გამოყოფილი იქნება 1,2 მ. სიგანის ბეტონის საყრდენებით, ხოლო წყალსაგდების ზემოთ დაგროვილი ნატანის გამორეცხვა განხორციელდება გამრეცხი რაბით.

გამრეცხი რაბის სიახლოვეს, მდინარის მარჯვენა ნაპირთან ახლოს მოეწყობა 6 მ. სიგანის ტიროლის ტიპის ერთკამერიანი წყალმიმღები, რომელიც დაპროექტებულია 2,8 მ³/წმ საპროექტო ხარჯის გასატარებლად. ზამთრის პერიოდში წყალმიმღების ზედა ბიეფში შექმნილი შეგუბებიდან წყლის დერივაცია მოხდება წყალმიმღების კამერაში, უშუალოდ გამრეცხი რაბის ზემოთ მოწყობილი წყალქვეშა ფარის მეშვეობით და მიმართული იქნება სადაწნეო მილსადენისკენ.

სათავე ნაგებობაზე თევზის მიგრაციისთვის, პროექტი ითვალისწინებს ბუნებრივ პირობებთან მიახლოებული თევზსავალის, ე.წ. შემოვლითი არხის მოწყობას, რომელიც დაგეგმილია მდ. კორხის მარცხენა სანაპიროზე. მისი ხარჯი შეადგენს 0,3 მ³/წმ, რაც მდ. კორხში სათავე ნაგებობის მიერ გასატარებელი ეკოლოგიური ხარჯის ტოლია. „თევზსავალი არხის“ კალაპოტში განთავსდება მდ. კორხის კალაპოტიდან ამოღებული ინერტული მასალა, ხოლო დახრილობა მიახლოებული იქნება საპროექტო მონაკვეთზე მდ. კორხის დახრილობასთან. პროექტის მიხედვით დაგეგმილია მიწისქვეშა GRP-ის სადაწნეო მილსადენის მოწყობა, რომლის სიგრძე იქნება 1950 მ, ხოლო დიამეტრი- 1,2 მ.

ახალქალაქი 2 ჰესის მიწისზედა ძალური კვანძის შენობა განთავსდება მდ. კორხის და მდ. ფარავანის შესართავთან ახლოს, მარჯვენა სანაპიროზე, მდ. კორხზე არსებული ხიდიდან 30-40 მეტრში, სადაც დაგეგმილია ერთი ფრენსისის ტიპის ტურბინის განთავსება, ხოლო გამონამუშევარი წყლის მდ. კორხში ჩაშვება მოხდება ბეტონის გამყვანი არხის საშუალებით.

ქვესადგურის მოწყობა დაგეგმილია ახალქალაქი 1 ჰესის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გათვალისწინებულია 35/6.3 კვ. ტრანსფორმატორის განთავსება, რომელიც საერთო იქნება ორივე ჰესის შენობაში განთავსებული ოთხი გენერატორისთვის.

საპროექტო ეგზ-ს დერეფანი იწყება მდ. ფარავნის მარცხენა სანაპიროზე, ახალქალაქი ჰესის 35 კვ. ძაბვის ქვესადგურიდან და გრძელდება სოფ. დილისკას ტერიტორიაზე მდებარე 35 კვ. ძაბვის ქვესადგურამდე. მისი სიგრძე შეადგენს 4,6 კმ-ს და განთავსებული იქნება 24 საყრდენ ანძაზე. გზშ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით №7 და №8 ანძებს შორის მონაკვეთი კვეთს ბუნებრივ ხევს, სადაც ანძების განთავსება იგეგმება ხევის კიდეებზე. №12 და №13 ანძების მონაკვეთი უახლოვდება სოფ. დილისკას საცხოვრებელ ზონას (№13 ანძა უახლოესი საცხოვრებელი სახილიდან დაცილებულია 40-45 მ-ით.) N15 და N16 ანძებს შორის მონაკვეთის დერეფნის დასავლეთით მდებარეობს სოფ. დილისკას სასაფლაო, რომელიც სასაფლაოს საზღვრიდან დაცილებული იქნება 15-20 მეტრით, ხოლო დანარჩენი საპროექტო ანძები განთავსდება დაუსახლებელ ტერიტორიაზე. საპროექტო საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის დერეფანში, ლანდშაფტური პირობებიდან გამომდინარე, ხე მცენარეები წარმოდგენილი პრაქტიკულად არ არის და მშენებლობის პერიოდში მათი მოჭრა არ იქნება საჭირო. ამასთანავე, საპროექტო დერეფანში ძირითადად ყველა ანძის სიახლოვეს გადის ადგილობრივი გრუნტის გზა და შესაბამისად, ახალი გზების მოწყობა არ იქნება საჭირო.

ახალქალაქი 1 ჰესის და საპროექტო 35 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობისათვის სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ყოფილი მეფრინველეობის ფაბრიკის ტერიტორიაზე, ხოლო ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია მდ. კორხის მარცხენა სანაპიროს ფერდობზე მდებარე არსებულ მიწის ნაკვეთზე. ზემოაღნიშნული ორივე ტერიტორია წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას.

ახალქალაქი 1 ჰესის და საპროექტო 35 კვ. საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის სამშენებლო ბანაკის ტერიტორია შეადგენს 3,6 ჰა ფართობის მიწის ნაკვეთს, რომელიც არის სწორი ზედაპირის და განიცდის მაღალ ანთროპოგენულ დატვირთვას, სადაც მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არის. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. დილისკა, რომლის საზღვრიდან დაცილება შეადგენს 280 მეტრს. აღნიშნულ ბანაკამდე არსებობს გრუნტის გზა, რომლის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. სასმელი წყლით მომარაგება მოხდება სოფ. დილისკას წყალსადენის ქსელიდან, ხოლო ჩამდინარე წყლების მართვის მიზნით დაგეგმილია საასენიზაციო ორმოს მოწყობა, რომლის მართვა მოხდება შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე. ბანაკის ტერიტორიაზე ასევე დაგეგმილია ბეტონის საამქროს, ინერტული მასალების და მილების დასაწყობების, არმატურის საწყობის, ტექნიკის სადგომის, საწვავ-საპოხი მასალების საწყობის, საოფისე და მუშათა საცხოვრებელი კონტეინერული ტიპის შენობების განთავსება.

ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო ბანაკის მოწყობა დაგეგმილია მდ. კორხის მარცხენა სანაპიროს ზედა ნიშნულებზე არსებულ სწორი ზედაპირის მქონე 4800 მ² ფართობის ტერიტორიაზე, რომელიც მდ. კორხიდან დაშორებული იქნება 200 მეტრით. საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის, ხოლო ნიადაგის ნაყოფიერი ფენის სისქე მერყეობს 12-15 სმ-ის ფარგლებში. აღსანიშნავია, რომ ტერიტორიას უშუალოდ ესაზღვრება ასფალტის საავტომობილო გზა და შესაბამისად, ახალი გზის მოწყობა საჭიროებას არ წარმოდგენს, ხოლო უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. ორჯა, რომლის საზღვრიდან დაცილება შეადგენს 255 მ-ს. ახალქალაქი 2 ჰესის სამშენებლო ბანაკისთვის სამეურნეო დანიშნულებით გამოყენებული იქნება ავტოცისტერნებით შემოტანილი წყალი, ხოლო სასმელად ბუტილირებული წყალი.

ტექნიკური დანიშნულებით დაგეგმილია მდ. კორხის წყლის გამოყენება. სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების სამართავად დაგეგმილია 10 მ³ ტევადობის საასენიზაციო ორმოს მოწყობა.

პროექტის მიზნებისათვის გამოყენებული იქნება, როგორც შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის, ასევე ადგილობრივი გზები. საპროექტო ჰესების დერეფნების ადგილმდებარეობის გათვალისწინებით ახალი მისასვლელი გზების მოწყობა საჭირო არ არის და გამოყენებული იქნება არსებული გზები. ახალი სამშენებლო გზის მოწყობა საჭირო იქნება მხოლოდ სადაწნეო მილსადენების მშენებლობისათვის, რომელიც განთავსებული იქნება მილსადენების საპროექტო დერეფნებში, შესაბამისად ახალი ტერიტორიების ათვისება არ მოხდება.

გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით საპროექტო ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2 ჰესების მშენებლობის პროცესში ფუჭი ქანების წარმოქმნას ადგილი ექნება ნაგებობების (სათაო ნაგებობა და ძალური კვანძი) საძირკვლების და სადაწნეო მილსადენების თხრილების მომზადების პროცესში, საიდანაც მუდმივ განთავსებას დაქვემდებარებული ფუჭი ქანების საერთო რაოდენობა იქნება დაახლოებით 120 000 მ³, მათ შორის ახალქალაქი 1 ჰესის მშენებლობის პროცესში ≈55 000 მ³, ხოლო ახალქალაქი 2 ჰესის მშენებლობის პროცესში ≈ 65 000 მ³.

სოფ. დილისკას მიმდებარე ტერიტორიაზე, ახალქალაქი 1 ჰესისათვის დაგეგმილია ერთი სანაყაროს მოწყობა, ხოლო ახალქალაქი 2 ჰესისთვის მდ. კორხის მარჯვენა სანაპიროს ფერდობზე.

ახალქალაქი 1 ჰესის ფუჭი ქანების სანაყაროს საპროექტო ტერიტორიაზე მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს. ტერიტორიაზე გადის 10 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში გადატანილი იქნება მისი ექსპლუატაციის დაწყებამდე. შერჩეული ტერიტორია არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების დაახლოებით 1.4 ჰა-ს ფართობის და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ახალქალაქი 2 ჰესის ფუჭი ქანების სანაყაროსთვის შერჩეული ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია ქვა-ღორღით, სადაც მცენარეული საფარი და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა არ არსებობს. მიწის ნაკვეთი მიეკუთვნება არასასოფლო-სამეურნეო კატეგორიას და წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, ხოლო მდ. კორხის სანაპიროდან დაცილება შეადგენს 35-40 მ-ს. საპროექტო ტერიტორიის ფართობი შეადგენს 0.72 ჰა-ს.

ორივე საპროექტო ჰესის განლაგების ტერიტორია იდენტურია ბუნებრივი გარემოს ყველა ფაქტორის (გეომორფოლოგია, გეოლოგიური აგებულება, ჰიდროგეოლოგიური და გეოდინამიკური პირობები, გრუნტები) მიხედვით, ამიტომ მასში გრუნტებისა და კლდოვანი ქანების სახესხვაობები, რომლებიც ამ ტერიტორიაზეა გამოვლენილი, განიხილება ერთი გარემოს ნაწილად და ისინი ერთ კომპლექსშია დახასიათებული. საველე და ლაბორატორიული გამოკვლევის შედეგების მიხედვით, ორივე ჰესის ნაგებობათა განლაგების ზოლში გამოიყოფა გრუნტების 6 და კლდოვანი ქანების 1 სახესხვაობა, (საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი (სგე)). გზმ-ის ანგარიშში მოცემული, საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით, საპროექტო ჰესების ნაგებობების განლაგების დერეფნებში გეოდინამიკური პირობები რთულია. ეს სირთულე ძირითადად გამოწვეულია კანიონისებური ხეობების მაღალ, ციცაბო ფერდობებზე მიმდინარე კოლუვიური და კლდეზვავური მოვლენები, რაც ფერდობებიდან

დანაპრალებული ქანების ცალკეული ლოდების ჩამოვარდნას გულისხმობს, ხოლო სხვა რაიმე სახის გეოდინამიკური მოვლენა (მეწყრული, ღვარცოფული ან სხვა), მოსალოდნელი არ არის. მშენებლობის ფაზაზე, მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში უმეტეს შემთხვევაში საჭირო იქნება ფერდობების ჩამოჭრა, რაც დიდი ალბათობით გამოიწვევს ქვათაცვენის პროცესების გააქტიურებას. მშენებლობის დაწყებამდე აუცილებელი იქნება შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის მოხდება სამშენებლო დერეფნების ფერდობების გაწმენდა აქტიურ დინამიკაში არსებული ლოდებისაგან და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი გამაგრება ორმაგი მავთულის ფოლადის ბადის გამოყენებით.

გზმ-ის ანგარიშში მოცემული ინფორმაციით, საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდა ბოტანიკური და ზოოლოგიური კვლევები. საპროექტო ჰესების დერეფნებში მცენარეული საფარი პრაქტიკულად არ არსებობს, დერეფნები არ კვეთს სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებს. შედეგების მიხედვით პროექტის გავლენის ზონაში ხვდება ოთხი ტიპის ჰაბიტატი, სადაც მგრძობიარე ადგილები, რაიმე დაცული სახეობა ან საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ცხოველთა საბინადრო ადგილები არ ყოფილა დაფიქსირებული. შესაბამისად ბიოლოგიურ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს ჰესების შენობაში დამონტაჟებული ჰიდროაგრეგატები, რომელიც განთავსებული იქნება მდ. ფარავანის და მდ. კორხის ღრმა ხეობებში, უახლოესი დასახლებული პუნქტის სოფ. კორხის ნიშნულებიდან დაახლოებით 90-100 მ-ით ქვემოთ, ხოლო დაცილების უმოკლესი მანძილი იქნება 300 მ. ტურბინები მოთავსებული იქნება დახშულ კორპუსში (გარსაცმში), რომელსაც ხმაურის შთანთქმის მაღალი მაჩვენებელი გააჩნია. ხმაურის გავრცელებას ასევე შეამცირებს შიდა ინტერიერში მოწყობილი ხმაურ საიზოლაციო მასალები და ჰესის შენობა. შესაბამისად უახლოესი საცხოვრებელი ზონის საზღვარზე ხმაურის გავრცელების დონეები არ გადაჭარბებს ნორმირებულ სიდიდეებს.

დაგეგმილი საქმიანობიდან გამომდინარე გარემოზე ზემოქმედების სრულყოფილად შეფასების მიზნით, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში სამინისტრომ მოითხოვა დამატებითი ინფორმაციის და განმარტებების წარმოდგენა, მათ შორის საპროექტო ნაგებობების ჰიდრავლიკური გაანგარიშებებსა და სხვა საკითხებზე. აღნიშნული ინფორმაცია და განმარტებები შესაბამისი დანართების სახით შპს „აისის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილ იქნა 2020 წლის 7 თებერვალს. წარმოდგენილი დოკუმენტაცია ასევე განთავსდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დაინტერესებულ საზოგადოებას მიეცა ვადა წერილობითი შენიშვნებისა და კომენტარებისათვის. აღსანიშნავია, რომ კომპანიის მიერ წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშსა და კანონით გათვალისწინებულ თანდართულ დოკუმენტაციასთან, ასევე დამატებით წარმოდგენილ ინფორმაციასთან/დოკუმენტაციასთან დაკავშირებით საზოგადოების მხრიდან წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სამინისტროში არ წარმოდგენილა. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2019 წლის 26 ნოემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფ. კორხის სკოლის შენობასა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გაიმართა აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვები, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროს, შპს „აისის“, შპს „გამა კონსალტინგის“, სოფ. კორხის, სოფ. ორჯის, სოფ. არაგვას, ასევე ახალქალაქის

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მოსახლეობა. . საჯარო განხილვაზე მოსახლეობის მხრიდან კითხვები დაისვა პროექტის ფარგლებში კერძო საკუთრებების გამოსყიდვის პოლიტიკასთან, საძოვრების გამოყენების შეზღუდვებთან, ადგილობრივების დასაქმებასა და მშენებლობით გამოწვეული გეოდინამიკურ რისკებთან დაკავშირებით, რომელსაც უპასუხეს შპს „აისის“ და შპს „გამა კონსალტინგის“ წარმომადგენლებმა. კომპანიის წარმომადგენლების განმარტებით, პროექტის ფარგლებში არ არის დაგეგმილი საძოვრების, კერძო ნაკვეთებისა და საცხოვრებელი სახლების ტერიტორიების ათვისება, ხოლო მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდში დასაქმებული პერსონალის დიდი ნაწილი იქნება ადგილობრივი მოსახლეობა, ხოლო საკონსულტაციო კომპანიის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გეოდინამიკური პროცესების წარმოქმნის საშიშროება მოსახლეობისთვის არ არსებობდა დაგეგმილი ჰესის პროექტიდან გამომდინარე, ვინაიდან შერჩეული იქნა გარემოსდაცვითი თვალსაზრისით ოპტიმალური ვარიანტი. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მიერ არ ყოფილა წარმოდგენილი წერილობითი შენიშვნები და კომენტარები დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით.

აღნიშნული გზშ-ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების, ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის I დანართის 22-ე პუნქტისა და II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება „ახალქალაქის მუნიციპალიტეტში შპს „აისის“ მდ. ფარავანსა და მდ. კორხზე 9.1 მგვტ დადგმული სიმძლავრის „ახალქალაქი ჰესის“ (ახალქალაქი 1 და ახალქალაქი 2), 35 კვ. ქვესადგურის და ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე;
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „აისმა“ საქმიანობა განახორციელოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, მათ შორის ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შერბილებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად.
4. შპს „აისმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან **3 თვის** ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს მილსადენების ჩაღრმავების შესახებ დეტალური გეგმა.
5. შპს „აისმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან **6 თვის** ვადაში სამინისტროში შესათანხმებლად წარმოადგინოს ახალქალაქი 1 ჰესის სადაწნო მილსადენის ბოლო ნაწილის (1200 მ.) გაყვანისა და ძალური კვანძის განთავსების ადგილისთვის კლდოვანი ფერდის დამუშავების პროექტი, მათ შორის ტიპური

კვებების, საპროექტო ქანობის, ბერმების მოწყობის და პარამეტრების დასაბუთებით.

6. შპს „აისმა“ მიერ მშენებლობის დაწყებამდე სამინისტროში წარმოდგენილი იქნეს სატურბინე ზეთების წყალში ავარიული ჩაღვრის პრევენციული და სალიკვიდაციო ღონისძიებების ჩასატარებელი სამუშაოებისათვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობების ჩამონათვალი;
7. შპს „აისმა“ უზრუნველყოს თევზამრიდი ნაგებობის მოწყობა „თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N423 დადგენილების შესაბამისად;
8. შპს „აისმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ფუჭი ქანების სანაყაროების (მათ შორის დროებითი სანაყაროების) პროექტების სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა shape ფაილებთან ერთად, ხოლო საპროექტო სანაყაროზე არსებული 10 კვ. ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის (საჭიროების შემთხვევაში) გადატანა შეათანხმოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან;
9. შპს „აისმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს სამშენებლო მოედნების/ბანაკების დეტალური პროექტის შემუშავება shape ფაილებთან ერთად და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ზედაპირული წყლის ობიექტში წყალჩაშვება, ასევე თუ საპროექტო ტერიტორიაზე წარმოდგენილი იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროები, სავალდებულოა უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებლის მიერ, სამინისტროსთან შეთანხმებული იქნეს „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში“ და „ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების“ პროექტი;
10. შპს „აისმა“ მდინარე ფარავანსა და მდინარე კორხის დაბინძურების პრევენციის მიზნით სადერივაციო მილსადენის მშენებლობის პერიოდში უზრუნველყოს პროექტით განსაზღვრული ყველა პარამეტრის, მათ შორის დაბინძურებისაგან დაცვის შემარბილებელი ღონისძიებების განხორციელება;
11. შპს „აისმა“ ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებამდე უზრუნველყოს სათავე ნაგებობებთან (შეტბორვის არეალის გარეთ) ავტომატური დონემზომის განთავსება და მდინარეების ყოველდღიური ხარჯების შესახებ ინფორმაციის ყოველკვარტალურად სამინისტროში წარმოდგენა. იმ შემთხვევაში, თუ წარმოდგენილი ინფორმაციის შედეგად დაფიქსირდება წყლის ბიომრავალფეროვნებაზე უარყოფითი ზემოქმედება, ჰესის ოპერირება განახორციელოს სამინისტროს მიერ დადგენილი გაზრდილი ეკოლოგიური ხარჯის შესაბამისად.
12. შპს „აისმა“ სამშენებლო სამუშაოების განხორციელება უზრუნველყოს „ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნის, შენახვის, გამოყენების და რეკულტივაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის N424 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;
13. შპს „აისმა“ მშენებლობის დაწყებამდე უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავება და სამინისტროსთან შეთანხმება საქართველოს გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანების შესაბამისად;

14. შპს „აისმა“ მშენებლობის დაწყებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
15. შპს „აისმა“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
16. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აისს“;
17. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აისის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
18. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ახალქალაქის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
19. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი